



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 30 მარტი

დისციპლინური საქმე №30/22
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2022 წლის 1 მარტის №30 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 10 მარტის №153/30-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

საჩივრის ავტორი მიუთითებს მოსამართლე -- -- მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის რამდენიმე ფაქტის შესახებ. კერძოდ, საჩივრის ავტორის შეფასებით:

- 1.1. მოსამართლემ არ გაითვალისწინა ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა და სასამართლო სხდომა ჩაატარა ბრალდებულის დაუსწრებლად;
- 1.2. სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ, მოსამართლემ ბრალდებულს მიმართა არაკორექტულად;
- 1.3. მოსამართლემ არ უზრუნველყო სს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და კანონის უზენაესობის პრინციპის უგულვებელყოფით ბრალდებულს სასჯელის სახით განუსაზღვრა -- წლით თავისუფლების აღკვეთა;
- 1.4. მოსამართლე სასამართლო სხდომაზე ცდილობდა მკაცრი ტერმინების გამოყენებას, რათა ბრალდებულზე მოეხდინა ზემოქმედება.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2021 წლის 15 აპრილს, სს საქმე -- -- მიმართ არსებითად განსახილველად გადაეცა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- --.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 19 ნოემბრის განაჩენით -- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და სასჯელის სახით განესაზღვრა -- წლით თავისუფლების აღკვეთა.

3. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების და ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების კვლევას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც აღნიშნულია წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. და 1.3. პუნქტებში, ორგანული კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების

არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. მოსამართლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გადასინჯვის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კანონით დადგენილი წესით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება დაუშვებელია.

შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი გარემოებები წარმოადგენს მოსამართლის მიერ, შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად განხორციელებულ ქმედებებს და არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დისციპლინური გადაცდომა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. -- -- 2022 წლის 1 მარტის №30 საჩივრის საფუძველზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, გადაწყვეტილების 1.1. და 1.3. პუნქტებთან მიმართებაში.
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, -- -- 2022 წლის 1 მარტის №30 საჩივარში მითითებული დისციპლინური გადაცდომის სხვა ფაქტების შესწავლის ნაწილში.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი